09/03/2020

იტალიის ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვები დროებით შეწყდა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქიის სამრევლოები "ფეისბუკის" გვერდზე ავრცელებენ განცხადებას, რომლის თანახმადაც, იტალიის მთელ ტერიტორიაზე არსებული ეპარქიის ეკლესიებში წირვა-ლოცვები დროებით შეჩერდა:

"SOS.რომის სამრევლოს წევრებს !
იტალიის მთავრობის ახალი დეკრეტის თანახმად , 3 აპრილამდე საზოგადო მსახურებები იტალიის ტერიტორიაზე ეკლესიებში შეჩერებულია.დროებით წყდება □ვენს ტა□არ□ი წირვა-ლოცვები!უფალი მოწყალეა,ვილოცოთ ყველამ, რათა ეს განსაცდელი მალე სიხარულმა და მ□ვიდობამ □ესცვალოს! ყველაფერი კარგად იქნება" – ნათქვამია რომის სამრევლოს "ფეისბუკის" გვერდზე.

“იტალიის მთავრობის ახალი დეკრეტის თანახმად , 3 აპრილამდე საზოგადო მსახურებები იტალიის ტერიტორიაზე ეკლესიებში შეჩერებულია.
დროებით წირვა-ლოცვებს ვერ ჩავატარებ ფლორენციის, პიზის, ემპოლის, პრატოს, პონტედერას , ლივორნოს, პოჯიბონსის, მონტეკატინის, ვენეციის და უდინეს სამრევლოებში” – აღნიშნულია ფლორენციის წმ. ნინოს სამრევლოს განცხადებაში.

— dogma.ge